



K 5730
2


ଓৰু 10 হাজ.

K $\frac{5.732}{2}$

ବ୍ୟାକ ପାଇଁ ଏହିପରିମାଣ ଦିଲ୍ଲିଯାରୁ
ବ୍ୟାକ ପାଇଁ ଏହିପରିମାଣ ଦିଲ୍ଲିଯାରୁ

ඇ. ඩී. කාලුබදෙ.

ებრაელები საბჭოთა კავშირში



საქართველო „მიმდევა-ის
გამოცემა. ტბილისი
1931 წ.

სპეც-2000
შემოზღვევულია

ა. ფ. მიასნიკოვის სახელ. სტამბა გამ-ბა „ზარია ვოსტკა“-სი
შეკვ. № 2018. მთავლიტი 1312. ტირაჟი 3000.

K5.730

2 მბრძალები საპატიო კავშირი^{*)}

4 წელი გავიდა „მემშ“-ის I-ლი ყრილობის შემდეგ. როგორც იცით ამ 4 წლის განმავლობაში ბევრი რამ გამოიცვალა. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირი უდიდეს წარმატებას მიაღწია. ჩვენი წარმატების შესახებ დაობს მთელი მსოფლიო,—ეს კი იმის მომასწავებელია, რომ მართლაც გვაქვს წარმატებები. საბჭოთა კავშირის ამ უდიდესმა წარმატებამ უმცველად გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ებრაელ ერზედაც. დღეს ებრაელ მასების მდგომარეობა სულ სხვაა, ვინემ ოთხი წლის წინად იყო. ჩვენ სწორედ აი ამ ფაქტიდან უნდა გამოვიდეთ.

უპირველეს ყოვლისა მე-II ყრილობის აუდიტორია სულ სხვაა, ვიღრე მაშინ იყო. მე ეს როგორლაც განსკუთრებით მეცა თვალში. თითქოს აგერ ეხლა—გუშინ ვიყავი „მემშ“-ის I-ლ ყრილობაზე და ვუყურებ, რომ აუდიტორია სულ სხვა. მაშინ ის თითქმის მთლიანად ინტელიგენტებისაგან შესდგებოდა, ეხლა კი აუდიტორია ხალხურია—მუშური და გლეხური.

მაშინ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ის, რომ ებრაელთა მასები გადავვერჩინა გადაშენებას. ეს საკით-

^{*)} „მემშ“-ის მე-II საკავშირო ყრილობაზე წარმოთქმულ დატვირდან.

ხი მაშინ ერთობ მკვეთრად იდგა. პირველ ყრილობის წინა ნახევარში მე ვიყავი ებრაელთა რაიონში და ვნახე, რომ მდგომარეობა მართლაც მძიმე იყო.

ეხლა ეს საკითხი წინანდელი სახით თავის-თავად იხსნება იმიტომ, რომ ლაპარაკი ამჟამად ებრაელების გადაშენებაზე და ისიც საბჭოთა კავშირში, უახრობაა. თვითეულ ჩვენთაგანისთვის უდავოა, რომ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის საკმარისია მუშაობა. სამუშაოს მონახვა კი ეხლა ყველას შეუძლია. ჩვენს კავშირში არ მეგულება ისეთი კუთხე, სადაც სამუშაოს მონახვა არ შეიძლებოდეს. ასე წარმოიდგინეთ უკრაინაც და ბელორუსიაც კი გოდებენ: „მოგვეცით მუშა-ხელი“-ო. სულ რაღაც ორი-სამი წლის წინად გადასასახლებელთა კონტინგენტის ირგვლივ გააფრთხებული ბრძოლა სწარმოებდა მთავრობის ორგანოებში რსთურ-სა, უკრაინასა და ბელორუსიას შორის. თვითეული ეს რესპუბლიკა მოითხოვდა, რომ მისი ტერიტორიიდან რაც შეიძლება მეტი გადასახლებულიყო შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში. ეხლა კი თვითეულ რესპუბლიკა, მათ შორის უკრაინაც, სადაც მეტი მოსახლეობაა, ლაპარაკობს: „თვით ჩვენ გვეირდება მუშა-ხელის გადმოსახლება“-ო. აი ის თავისებურება, რომელსაც აძებად აქვს ადგილი.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელად უნდა გარდაიქმნეს „მემშს“-ის მუშაობა ახალ საფუძველზე. პირადად მე მგონია, რომ ებრაელ მასების უკეთ დაცვისა და მოწყობისათვის, საჭიროა მათი გადასახლება. საჭიროა მოინახოს ისეთი ტერიტორია, სადაც შეიძლებოდეს ებრაელების რესპუბლიკის შექმნა. რომ წინანდელი გავირვება იყოს, რა თქმა უნდა, რესპუბლიკა მალე შეიქმნებოდა. ამჟამად, მაგალითად ბირობიჯანს იმდენ გადასახლებულს

ეერ მისცემ, რამდენის მიცემაც შეიძლებოდა, ვსთქვეთ, ოთხი წლის წინად. ეს ცხადია. აიღეთ, მაგალითად, ბერ-ლიჩეველები. ბერდიჩევში არის ტყავის ქარხნები. იქ მუ-შის საშუალო ხელფასი 100—120 მანეთაა. აშკარაა, რომ ბირობიჯანში ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში წაე-ლენ, თუ იქ უკეთესი მატერიალური პირობები იქნება ანდა-იდეური მისწრაფებით ჩემის აზრით, არა ცუდი ყოველგვარ შემთხვევაში, თუ გინდ ისეთი მისწრაფება, როცა ხალხს სურს შექმნას თავისი ეროვნული სახელმწიფო და ამ მი-ზნით მიღის ბირობიჯანში, როცა ეს ხდება პროლეტა-რიატის დიქტატურის დროს.

მე შეგნებულად ვამბობ, რომ შეიძლება წასელა იდეურ მისწრაფებით. ასეთი იდეური მისწრაფება შესა-ძლებელია, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ მარტო იდეური მისწრაფება არ კმარა დიდ-ძალი მასების წასა-ქეზებლად გადასახლებაზე. მაგრამ, ეს იმას როდი ნიშ-ნავს, რომ ებრაელების რესპუბლიკა იხსნება დღის წეს-რიგიდან. არა, მე ხაზგასმით ალვნიშნავ, რომ ვიყავი და ვარ ბირობიჯანის მომხრე. რატომ? იმიტომ, რომ მე მი-ზანშეწონილად მიმაჩნდა ებრაელების რესპუბლიკის შექ-მნა. მე ამის შესახებ გარკვევით განვაცხადე პირველ ყრი-ლობაზე. რატომ ვარ ბირობიჯანის მომხრე? ჩემის აზრით პრაქტიკულად იქ ყველაზე უფრო ადგილად შეიძლება რესპუბლიკის შექმნა. თუ პირველ ხანებში იქ ებრაელები მხოლოდ 20-25 პროცენტი იქნება, ეს საშიში არაა. ყირიმში ხომ თათრები მხოლოდ 26 პროცენტს შეაღე-ნენ. მიუხედავად ამისა არსებობს ყირიმის რესპუბლიკა, რომელიც თათართა რესპუბლიკას წარმოადგენს.

მე ეფიქრობ, რომ სწორედ ბირობიჯანია ის ად-ვილი, სადაც შეიძლება მოეწყოს ებრაელების რესპუბ-

ლიკა, საითენაც ეხლა ჩვენ მივიღტეით პრაქტიკულად მე, მაგალითად, დიდად ვიცავ იმ ახრს, რომ სწორედ ბირობიჯანში განვითარდეს საბჭოთა მეურნეობანი. მარცვლეულის ტრესტში სულ იმას გავიძახი რომ, იქ არც დირექტორებად და არც მუშად და მით უმეტეს ორგანიზატორებად რუსების გაგზავნა არ შეიძლება. ასეთები შეძლებისადა გვარად, უნდა იყვენ ებრაელები—კომუნისტები ან უპარტიონი.

ჩემის აზრით ეს სასარგებლოა, ეს ასე უნდა მოეწყოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა მე, როგორც მარქსისტი, არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ აქ არის სიძნელე და რომ პირობებიც შეიცვალა ამას მე ვლაპარაკობ იმ მხრივ, რომ ეხლა რესპუბლიკის მოწყობა უფრო ძნელი იქნება. საძნელო გახდება იქ რამოდენიმე ასეული ათასი, ადამიანის მოკრება, თუმცა, ჩვენს პირობებში, რესპუბლიკის მოსაწყობად, არა თუ რამოდენიმე ასეული ათასი, არამედ ასი ათასიც კი არაა საჭარო. ბირობიჯანში რომ პირველ ხანებში თუ გინდ მხოლოდ 20 ათასი ებრაელი ყოფილიყო და 40 ათასი სხვა ეროვნებებიდან,—ებრაელების რესპუბლიკის მოწყობა შესაძლებელი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ასეთი ეროვნული რესპუბლიკები ჩვენში ბევრია და აქ არაჩვეულებრივი არაფერია. ექნებოდა კი ამას რაიმე მსოფლიო მნიშვნელობა? რა თქმა უნდა ექნებოდა. ის, ვინც ამას ნაციონალიზმად თვლის ივიწყებს ებრაელთა რესპუბლიკის არსებობის ფაქტის მნიშვნელობას. ეს კონტრ-რევოლიუცია კი არაა, არამედ არაჩვეულებრივი რევოლიუციონური ფაქტია მთელი მსოფლიოს ებრაელებისათვის და საბჭოთა კავშირის შშრომელ ებრაელებისათვის. ამ გზით ისინი უკეთ მოაწყობენ თავიანთ მეურნეობასა და კულტურას. აქ დიალექ-

ტიკი უნდა იყო. მე უკვე ვსთქვი, რომ გარემოება გა-
მოცვლილა მეთქი. მე ვფიქრობ, რომ „მემშს“-ის მუშაო-
ბაც ეხლა იქნება უფრო რთული, მაგრამ ამავე დროს
უფრო ნაყოფიერიც.

რაში მდგომაროებს ამ მუშაობის სირთულე? იმაში
რომ ეხლა ალბად უფრო დაჩქარდება დრო - მო-
კებულ ებრაელ უბნების რღვევის პროცესი. რაში გამოი-
ხატება ერთ აღგილას ებრაელების შეჯგუფებით დასახ-
ლების თავისებურობა? ეს არის სილარიბე, რომელიც
ებრაელებს მათ მეზობლად მცხოვრებ დანარჩენ მოსახლე-
ობის საარსებო დონეზე უფრო დაბლა აყენებს. ეს გამო-
წვეულია ამ ერის ისტორიის თავისებურებით. ჩვენ ვი-
ცით, რომ როდესაც ებრაელი სტოვებს ებრაელთა უბანს,
პირველ ხანებში უჭირს, ხოლო რამოდენიმე წლის შემ-
დეგ, ამ ახალ აღგილას და ახალ პირობებში, ის უკვე
სულ სხვა ადამიანი ხდება.

მე ვფიქრობ, რომ ებრაელობა დასტოუებს თავის
უბნებს და შეიქმნება ებრაული პროლეტარიატი. რა
თქმა უნდა, ამ ახალ ებრაულ პროლეტარიატს არ ექნება
ძველი ებრაელი „გეტტო“-ს სახე. ებრაული პროლე-
ტარიატი თავისი ფსიქოლოგიით იქნება ისეთივე პროლე-
ტარიატი, როგორც რუსი, უკრაინული და სხვა პროლეტა-
რიატი. მაგრამ მე მგონია, რომ თუ არის რუსი პროლეტარი-
ატი, უკრაინული პროლეტარიატი, თუ არის ბელორუსიე-
ლი პროლეტარიატი, რატომ არ შეიძლება არსებობდეს
ებრაული პროლეტარიატიც? აკა რუს და უკრაინულ
პროლეტარიატს შორის თითქოს არავითარი განსხვავება
არ არის? ასეა ხომ? რამდენადაც პროლეტარიატი ინტერ-
ნაციონალურია, რამდენადაც ის მუშაობს მსხვილ მრეწ-
ველობაში, იმდენად ის ლებულობს საერთო სახეს. ეს

ასეა. მაგრამ მთულედავად ამისა თვითეულ ეროვნების პროლეტარიატს აქვს არა მარტო თავისი ტერიტორია, არამედ თავის ენაც, ესა თუ ის საყოფა-ცხოვრებო თავი-სებურება და სხვ., და ეს აქვთ ებრაელ მუშებსაც. ჩემის აზრით, ამ უამად „მემშს“-ი გვერდს ვერ აუვლის ებრაელობის პროლეტარიატს, რომელიც საგრძნობ რაოდენობას წარმოადგენს. „მემშს“-ის . დასაყრდნობი ძალა პრო-ლეტარიატი უნდა იყოს.

„მემშს“-ის მუშაობას აქვს ორი მხარე. ერთი მდგო-მარეობს „იმაში, რომ ყოფილ მეწვრილმანებისა და მათ მზგავსთ „მემშს“-ი ხდის მშრომელ ელემენტებად, ზრუნავს მათ საჭიროებაზე, იცავს მათ უფლებებს და სხვ. მე ეს სავსებით სამართლიანად მიმაჩნია იმიტომ, რომ ეს ხალ-ხი გაწრობდა არა მოწოდებით, არამედ იძულებით— სხვა გამოსავალი მათ არა ჰქონდათ. ამ გარემოებას ჩენ სა-თანადო ყურადღებით უნდა მოვეპურათ. ამ დახავსებულ, საგრძნობლად კონსერვატიულ, წვრილ-ბურჟუაზიულ მა-სას „მემშს“-ი ხდის მშრომელ ელემენტებად. „მემშს“-ის მუშაობის მეორე მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ახლად წარმოშობილ, ნორჩი პროლეტარულ ფენას, რომელსაც წარსული არ ახსოეს. იყიდოთ მაგალითად 20 წლის ჭაბუკი, მითხარით რა აქვს მას ძელებური? ის ხომ წარსულს გამოცდილე-ბით არ იცნობს, ის ხომ ახალი ადამიანია!

ეხლა ასიმილიაციის შესახებ. ესეც ხომ ხდება ჩე-ნში. ახალგაზრდობის ასიმილიაცია აღვილად სწარმო-ებს. მარტო ის გარემოება რომ ამ უკანასკნელ ხანებში, ძალიან ხშირად ებრაელი ცოლად ირთივს რუსის ქალს, ხოლო რუსი—ებრაელის ქალს და სხვ. ნიშნავს იმას, რომ ასიმილიაცია თანაბათანობით, თავისთავად ხდება. მაგ-

რამ თქვენმა პოლატიკურმა ხელმძღვანელებმა, ებრაულ
საზოგადოებრიობის ხელმძღვანელებმა, რომელიც ცდი-
ლობებს სათავეში ჩაუდგენ ებრაელებს და გამოაშვარავონ
მათი ეროვნული საჭიროება—იციან თუ არა ეს მოძრაო-
ბა და როგორ აფასებენ მას პოლიტიკური ინტერესების
თვალსაზრისით? ნუ თუ ამა. დიმანშტეინმა არ იცის,
რომ ეხლა ჩქარი ტემპით და სიძლიერით ხდება ასიმი-
ლიაცია? არც შეიძლება არ ხდებოდეს, ეს ბუნებრივი
მოვლენაა და მას ვანიცდის არა მარტო ებრაელობა,
არამედ ყოველი ერთ.

51
K მაგრამ ღებულობდა თუ არა ის, როგორც ებრა-
ელთა შორის მუშაობის ხელმძღვანელი, რაიმე ხელოვ-
ნურ ზომებს ასიმილიაციის გასაძლიერებლად? — არა. ასე
ჯომ მოქცეულიყო, — ეს შეცდომა იქნებოდა. რამდენადაც
ის კომუნისტია, მას ეს არ შეუძლია. ეს არ გამომდინა-
რეობს ჩვენი ხაზიდან. მაგრამ ასიმილიაციის ფაქტი, რა
თქმა უნდა, ბუნებრივია. ჩვენში საბჭოთა კავშირში, ამ-
ჟამად არსებითად იქმნება არა რუსი ადამიანის, არამედ
ახალი ადამიანის ტიპი — საბჭოთა კავშირის მოქალაქე.
ხელს უშლის თუ არა საბჭოთა კავშირის ეს მოქალაქეობა
ეროვნულ განვითარებას? არა. იკი იმისათვის, რომ საბ-
ჭოთა კავშირის მოქალაქე იყო, საჭიროა პატივისცემით
ეპყრობოდე არა მარტო დიდი, არამედ პატარა ერების
ნაციონალურ თავისებურებობას. აი ეს არ უნდა დაგვავი-
წყდეს, ესეც ხომ დიალექტიკა. საბჭოთა კავშირის მო-
ქალაქედ ყოფნა დიდი საჭმეა და ეს გვივალებს პატივის-
ცემით მოვეპყრათ პატარა ერების თავისებურებობას და
გაუფრთხილდეთ მათ.

საბჭოთა კავშირის მოქალაქედ ყოფნა კარგია. ეს სა-
სარგებლოა რევოლუციისათვის. მე ვამბობ სასარგებ-

ლოა იმ მხრივ, რომ ის ანვითარებს ადამიანის თვით-შეგნებას, აფართოებს მის თვალთახედვას. მაგრამ ამას-თან ერთად გვეკისრება ვალდებულებანიც: თუ გსურს ქარგი საბჭოთა მოქალაქე იყო, პატივიეცი პატარა ერს და დაეხმარე მას. და რაც უფრო მეტ თავისუფლებას მიღესცემ მის განვითარებას, მით უფრო ნაკლებად გა-დაპარბებით შეაფასებს თავის ეროვნულ თავისებურე-ბობას.

მე ვშიშობ, რომ ჩემ მიერ გამოთქმული შეხედუ-ლებანი არ იქნას შეაფასებული როგორც „მემარცხენე“ შეხედულებანი. საბჭოთა კავშირი არსებითად ხდება, არა ასიმილაცია, არამერ ეროვნებათა კონსოლიდაცია.

ამიტომ, როდესაც მე ვლაპარაკობდი ახალ ამოცა-ნებზე ებრაელ პროლეტარიატის ახალ კადრების წარმო-შობასთან დაკავშირებით, რაში გამოიხატება ამ ამოცა-ნების შინაარსი? მე ვფიქრობ რომ ის კავშირი, ის თა-ვისებურებანი, რომლებიც აქვთ ებრაელებს, როგორც ყოველ ერს,—ეს კავშირი ებრაელ მასებს შიგნით ამა თუ იმ სახით უნდა ჩამოყალიბდეს, განვითარდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ პროლეტარიატი არ უნდა მოსწყდეს ებრაელი ერის მასებს. ებრაელ მუშების კავშირი ებრაელ მშრომელ მასებთან უნდა გაძლიერდეს. ჩეშის აზრით, ებრაელშა ხალხშა რომ სრულიად დაპყაროს თავისი ინ-დუსტრიალური მუშები, ეს უარყოფითი მოვლენა იქნება არა მარტო ებრაელ მშრომელ მასებისთვის, არამედ მთე-ლი საბჭოთა სახელმწიფოსა და რევოლიუციისათვის. მე მესმის, რომ ებრაულმა პროლეტარიატმა ებრაელ ნაციო-ნალისტების მიმართ უნდა აწიორმოოს მემარცხენე ნაციო-ნალური პოლიტიკა, მაგრამ ეს არ იქნება პოლიტიკა ებრაელი ხალხის წინააღმდეგ. ებრაელი ხალ-

ხის შიგნით ებრაელმა პროლეტარიატმა უნდა იბრძოლოს. ლენინური ნაციონალური პოლიტიკისთვის. თავის, ინტერ-ნაციონალურ კლასიურ-რევოლუციონურ როლს ის-მტკიცედ და გარკვევით შეასრულებს უკრაინის, რუს და სხვა ეროვნების პროლეტარიატთან ერთად.

ებრაულ პროლეტარიატს ეკისრება სპეციფიურ რე-ვოლიუციონური ამოცანა: წინად დაბეჩავებული მშრომე-ლი ებრაელობა უნდა იქციოს თავდადებულ საბჭოთა მო-ქალაქებად, სოციალისტური სამშობლოს უაღრესად ერთ-გულ შეილებად. ეს პატარა ამოცანა როდია. აბა ვის შეუძლია იყოს სოკიალისტური სამშობლოს ერთგული, თუ არა საკუუნოებით დააჩარულ ებრაელის პროლეტარს, რომელსაც ასე ბევრი რამ მისცა ოქტომბერმა?

რუსეთში ვებეროთელა წევრილ-ბურჟუაზიული გლე-ხური მასაა. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პოლიტიკა ყოველთვის გულშემატკიცრობის პოლიტიკა იყო. ჩვენ ერთობ თანმიმდევრობით ვატარებთ პო-ლიტიკას, სადაც სიმკაცრის ელემენტებსაც აქვს აღგილი. განა შეგვეძლო გლეხების სოციალიზმის მშენებლებად გადაქცევის ამ პოლიტიკის გატარება შესა-ფერი ეროვნულ პროლეტარიატის დაუხმარებლად? არა, ეს შეიძლება მხოლოდ მთელი საბჭოთა კავშირის ეროვ-ნულ პროლეტარიატის მხარის დაჭრით ყოველ რესპუბ-ლიკაში. ამავე ახტისა ვარ ებრაელობის მიმართაც. ებ-რაელმა პროლეტარიატმა უნდა გამოიჩინოს თავისი გავ-ლენა. გარდა ამისა საბჭოთა კავშირის გარედ სცხოვ-რობს საერთობი რაოდენობის ებრაელობა, რომელზედაც გავლენას ახდენს საბჭოთა კავშირის ებრაელობა, პირდა-პირ უნდა ითქვას, რომ თუმცა ჩვენსა და მათ შორის აღმართულია სახლერის ერთობ მაგარი კედელი და ამა-

სთან, ჯერ კიდევ არსებობენ ერთის მხრივ, მსხვილი კა-
პიტალისტები, ხოლო მეორეს მხრივ — ლარიბთა მჩავალ-
მრიცხოვანი მასები და მათ შორის გაჩაღებულია კლა-
სობრივი ბრძოლა, მაგრამ შესაფერის ფენებთა შორის
საერთო მოძრენტებიც არსებობს.

ებრაელობა მეტად ცოცხალი და პოლიტიკურად
გავლენიანი ქრის, თუმცა ის, როგორც ერთი სრულია-
დაც არ წარმოადგენს ერთს მთლიანს. ეს ფაქტია,
მაგრამ ებრაელები მაინც ენერგიული ერია, ამ ენერგიას
ისინი იჩენენ განსაზღვრულ შემთხვევებში. საჭიროა
ვიცოდეთ, აქვს თუ არა მნიშვნელობა ამას, რომ თანამე-
დროვე პირობებში, კაპიტალისტურ გარემოცვის დროს,
საზღვარგარეთელი ებრაელობის მასები თანაგრძნობით
უყურებდენ საბჭოთა კავშირს? თუ უცხოეთში მყოფ ებრა-
ელების წვრილ ბურჟუაზიული მასა, წვრილი გამრები, ში-
ნამრეწველები და სხვ. გულ-თბილად იქნებიან განწყობი-
ლნი საბჭოთა კავშირისადმი, ექნება თუ არა ამას მნიშ-
ვნელობა რევოლიუციისათვის? რასაკვირველია ექნება.
და თუ ეს ასეა, ცხადია, რომ ებრაელების რესპუბლიკის
მოწყობას ამ მხრითაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ეს
სერიოზული საქმეა.

ეხლა რესპუბლიკის ტერიტორიის შესახებ. მე ცო-
დვა მიმიდვების, დიდ ხანს ვიცავდა ბირობიჯანს. თუმცა
ის ჩინეთის ახლოა, მაგრამ გამოვდიოდი პრაქტიკულად,
პირდაპირ საქმით და არა მარტო სიტყვებით. მე ვიყავი
იმის ინციატორი, რომ შემოველოთ მთელი საბჭოთა კა-
ვშირი და მოენახათ შესაფერისი ტერიტორია.

მაგრამ რა მოსაზრებიდან გამოვდიოდით მაშინ? იმ
დროს რამოდენიმე მილიონი ებრაელი უკიდურეს გამირ-
ვებას განიცდიდა და აი სწორედ მათ შესახებ იდგა სა-

კითხი. ამეამად რესპუბლიკის შექმნა ძნელია, მაგრამ მე
დღესაც ვაკეთებ ყველაფერს, რაც კი შეიძლება, რომ
ბირობიჯანში ებრაელთა რაოდენობა გაიზარდოს. ეს არ
არის მთავრობის სპეციალური დირექტივა, მე არ ვახდენ
არავითარ იძულებითი ხასიათის ზეგავლენას, ვინაიდან ამ
გზით რესპუბლიკა არ შეიქმნება. ეს თავისთავად ცხადია—
ერთი საქმეა იძულებითი ზომები, ხოლო მეორე—გადასა-
სახლებელთა ნება-სურვილი. ყველაფერს ამას მხედველობა—
ში ვღებულობ და ამიტომ ეხლა შემიძლია ქსოვა, რომ თუ
4 წლის წინად ვფიქრობდი—ებრაელების რესპუბლიკა
ჩქარა შეიქმნებათქმ—ეხლა მე ამის თქმა არ შემიძლია,
არ ვიცი შეიქმნება თუ არა, ის და არც ვიცი, სად შეი-
ქმნება. ეს დამოკიდებულია ებრაელ მასების სურვილზე.
აქ წამომძახეს: „მხოლოდ არა ჩინეთთან“-ო! არ უნდა
დაივიწყოთ, რომ მანძილი განიზომება არა ვერსების
რაოდენობით, არამედ მიმოსვლის სისწრაფით. ჩინეთი
200 წლის უკან მიუწდომელი იყო, ეხლა კი ასე ამბობენ:
„მერე რა, ჩინეთი ხომ ერთი კვირის სავალზეა“-ო. 10
წლის შემდეგ კი შეიძლება ასე იქნეს: აქ ვისაუზმოთ და
ჩინეთში კვისადილოთ.

რაც შეეხება ჩვენი ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწი-
ლის პოლიტიკურ როლს, მე პირადად ვფიქრობ, რომ
შორეულ აღმოსავლეთის როლი მახლობელ 10 წლის გან-
მავლობაში გაცილებით უფრო გაძლიერდება, ვიდრე ჩვე-
ნი კავშირის სხვა რომელიმე ნაწილის. ამიტომ საკითხი
ისმის არა ჩინეთის საზღვრის შესახებ, არამედ ორგანიზა-
ციულ ხასიათის სიძნელებისა და გასაჭირის შესახებ.
ებრაელებს შორი მანძილი არ აშინებს. რა თქმა უნდა,
ებრაულ მასებს, რომ მატერიალურად არ უჭირდეთ, უკე-
თესი იქნებოდა, მაგრამ ამის შესახებ მე ეხლა არ ვლაპა-

რაკობ. მე ვფიქრობ, რომ გაჭირებულ ებრაელების მოშეყობასთან ერთად მაავარ ამოცანას წარმოადგენს რესპუბლიკის შექმნა. წინადაც ბირობიჯანის მომხრე ვიყავი. არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ბირობიჯანში მარტო 500 ოჯახის გაგზავნათ, საჭიროა, რომ იქ ებრაული მოსახლეობა მაღლ 10.000 კაცს მაინც აღწევდეს. იქ რამოდენიმე ათეულ ათას კაცს შეუძლია მოეწყოს და იმუშაოს, შესაფერი ტერიტორია არის. მე მსურს, რომ ეს მხედველობაში ვიქონიოთ. რაკი შევეიძლია გამოვნანთ ისეთი ტერიტორია, სადაც თავს იყრის ებრაელთა კომპაქტიური მოსახლეობა და ეწყობა დამოუკიდებელი რესპუბლიკა,— მე ვფიქრობ რომ ეს არის არა გიური საქმე, არამედ დაღებითი მოვლენა. საბჭოთა კავშირში 3 მილიონამდე აღწევს ებრაელთა რაოდენობა და რა იქნება, რომ მათაც ჰქონდესთ თავიანთი პატარა რესპუბლიკა მაინც, და მაშინ ყველას ეცოდინება, რომ ამ ეროვნებას ჩვენს ტერიტორიაზე იქნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი „სახელმწიფოებრივი ტარული“.

როცა ამაზე ფიქრობთ ცხადი ხდება, თუ რამდენად როთულდება ამ უამაღ „შემს“-ის მუშაობა. ამას უნდა დაეხმარონ ყველა ეროვნების მშრომელი მასები. მე ვფიქრობ, რომ „შემს“-ის მე-II ყრილობამ უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ის ახალი, რაც ამჟამად აშეარიცვდება. ჩემის აზრით მთავარია ამ დიდ მუშაობაში ახალი ძალების ჩაბმა, რომლებიც ვითარდებიან ებრაელ ხალხში. ეს ძალებია—პროლეტარიატი და კოლმეურნე გლეხები. ამათ დაეხმარებიან სხვა ეროვნების მუშები და გლეხები.


რამდენი ებრაელი გლეხია ამ უამაღ ჩვენში? დაახლოებით 300.000. ეს 300.000 გლეხური მოსახლეობა შექმნა ჩევოლუციამ, წინად ებრაელი გლეხები არ არსებობდენ.

მე ვფიქრობ, რომ „მემს“-ის სამოქმედო ბაზა უკვე შექმნილია. რაყი რესპუბლიკა ჯერ კიდევ არ ირის, მაშა- სადამე საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაცია უნდებ- ლიედ იზიდავს ებრაელთა საქმეებით დაინტერესებულ მა- სებს. მაგრამ „მემს“-ი ჯერ კიდევ ძლიერ სუსტი ორგა- ნიზაციაა. ამიტომ საჭიროა რესპუბლიკანურ, საოლქო და რაიონულ ორგანიზაციების გაძლიერება. ეს უმცველად უკეთ გააერთოთანებს მუშაობას.

ამ რიგად, ებრაელობამ, რომელსაც არ ჰყავდა არც ინდუსტრიალური პროლეტარიატი და არც გლეხობა, უკვე საღი ბაზა შეუქმნა თავის ეროვნების და ამით ახალ, საბჭოთა პირობებში თავს აღწევს ბურჟუაზიული ელე- მენტების გავლენას.


მე ამას უდავო დადებით მოვლენათ ვთვლი და დარწმუნებული ვარ, რომ ებრაელი პროლეტარიატი ჩქა- რა გაიზრდება და გაძლიერდება. ამავე დროს ვფიქრობ, რომ თუ ებრაელობას საამისო შესაძლებლობა ექნება, არც გლეხერ მოსახლეობის გაძლიერება იქნება მავნებე- ლი. გლეხობა უნდა გაძლიერდეს იმ აღგილებში, სადაც ბოლოს და ბოლოს შესაძლებელი გახდება ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი მასივის შექმნა. ეს აღგილებია ყი რიმი და ბირობიჯანი. მე ვფიქრობ, უსაფუძვლოა ამ მუ- შაობის წესრიგიდან მოხსნა. ყოველ შემთხვევაში, ნაად- რევია.

არამც და არამც არ უნდა შესწყდეს მუშაობა მი- წადმოქმედების დარგში, მაგრამ, ამასთან ერთად, ებრაელი პროლეტარიატი უნდა გაერთიანდეს და შეუკავშირდეს გლეხობას ნაციონალური ფორმების შესაესებად სოცია- ლისტური შინაარსით.



მე ვფიქრობ, რომ ამ რიგად ჩატარებული მუშაობა
უსათუოდ სასარგებლო იქნება საბჭოთა კავშირისათვი-
საც მთლიანად. ეს სასარგებლო იქნება პოლიტიკურადაც,
არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარედაც.

მე ვფიქრობ, რომ „მემს“-ის შემდეგი ყრილობისა-
თვის ჩვენი პირობები გაცილებით უკეთესი იქნება ხოლო
თუ ხელს შეგვიშლიან და ამ ხნის განმავლობაში თავს
დაესხმიან საბჭოთა კავშირს—დარწმუნებული ვარ, რომ
ებრაელი მშრომელი მასები პირველ რიგში იბრძოდებენ
საბჭოთა კავშირის დასაცავად.



პარლამენტის კროკნული ბიბლიოთეკის



K 5.730/2